

ლილეს დეკლარაცია მშვიდობის კულტურის შესახებ

რელიგიური ლიდერების ევროპული საბჭო –

რელიგიები მშვიდობისათვის

27 მაისი 2009 წელი

პრეამბულა

ჩვენი სხვადასხვა რელიგიური ტრადიციები მოგვიწოდებენ *მშვიდობის კულტურის* წარმოსაჩინად. ისინი ხელს უწყობენ მშვიდობას თავიანთი წმინდა გაგებით ადამიანის სიცოცხლის ღირსების ხელშეუვალობის შესახებ, რომელიც უკავშირდება შეხედულებას მისი წმინდა წარმოშობის შესახებ. გულისა და გონების მშვიდობა ნიშანდობლივად არის დაკავშირებული საზოგადოებაში არსებულ მშვიდობასთან. მშვიდობა და სამართლიანობა ისევე განუყოფელია როგორც ჭეშმარიტება და შერიგება. მშვიდობა არსებობს მშვიდობის დაპურებისთვის, ღარიბის დასახმარებლად, ავადმყოფზე ზრუნვისთვის, დაჩაგრულის განთავისუფლებისთვის და მათთვის ”ხმის მიცემისათვის“. მშვიდობა გვიცავს ძალადობისგან და რეალობაში ის არსებობს მაშინ, როცა ომი და შეიარაღებული კონფლიქტები გადაიქცევიან განვითარებად და ეროვნული მშენებლობის საქმედ.

თითოეული ცალკეული კულტურა უნიკალურია და შეიძლება გავიგოთ როგორც მთელი რიგი საერთო ღირებულებები და გაზიარებული შეხედულებები, რომლებიც ავსებენ ცხოვრებისეულ გზას. ჩვენს მიერ ტერმინ - *მშვიდობის კულტურის* გამოყენება გულისხმობს მშვიდობასთან დაკავშირებულ იმ საშუალებებსა და ღირებულებებს, რომლებიც შეიძლება ფართოდ იყოს გაზიარებული მსოფლიოს სხვადასხვა კულტურების მიერ. ასე რომ, *მშვიდობის კულტურა* პატივს სცემს და ის აშენებულია მსოფლიოს სხვადასხვა განსხვავებული კულტურების წვლილზე. რელიგია ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურასთან და *მშვიდობის კულტურის* გავრცობის მნიშვნელოვანი წყაროა.

ა: რელიგიების როლი მშვიდობის კულტურის გავრცობაში

1. **რელიგიათა სულიერი განზომილება:** რელიგიები სულიერი ცხოვრების მეშვეობით აღვივებენ ადამიანურ სულისკვეთებას, რომლებიც მიზანმიმართულია ჭეშმარიტი მშვიდობის რეალიზებისაკენ როგორც თითოეულ მორწმუნეს შორის,

ლილეს დეკლარაცია მშვიდობის კულტურის შესახებ

ისე ფართო კაცობრიობის ოჯახში. მისმა ძალამ შეიძლება აჩვენოს დაუმარცხებლის დამარცხებისა და მიუტევებლის მიტევების შესაძლებლობა, ჩასახოს და იპოვოს იმედი იქ, სადაც თითქოსდა ამის ნატამალი საფუძველიც არ არსებობდა. ის ასევე წარმოადგენს მშვენიერების ზემისა და სათნოების გავრცელების ნათელ გამოვლინებას.

2. რელიგიათა ეთიკური განზომილება: რელიგიათა სულიერი სიღრმეებიდან სათავეს იღებენ ეთიკური სისტემები, რომლებიც გზას უკვლევენ მილიონობით ადამიანებს. რელიგიურ ღიდერებს შეუძლიათ ყველა დონეზე ისაუბრონ იმ ღირებულებების მორალური ძალაუფლებით, რომლებიც ღრმად არის ფესვგადგმული და ფართოდ გაზიარებული უმეტეს რელიგიურ ტრადიციებში და რომლებიც *მშვიდობის კულტურის* ღირებულებების იდენტურია. მათ შორის არის თითოეული პიროვნების ღირსების ხელშეუვალობა გამოსატული ზრუნვაში ადამიანის უფლებებზე, სამართლიანობაზე, ჩაგრულთა მიმართ სიბრალულზე, დედამიწისა და მის პირმშობებზე ზრუნვაში, ასევე არაძალადობისკენ მოწოდებაში.

3. რელიგიათა სოციალური განზომილება: რელიგიურ ტრადიციებს აქვთ ვერტიკალური და ჰორიზონტალური სტრუქტურები, რომლებიც მათ აძლევთ გავლენის, იდეებისა და შეხედულებების გაზიარების უნიკალურ საშუალებას. თითოეულ ქალაქში და სოფელში არის ადგილი, სადაც ხალხი ერთად ლოცვისათვის იკრიბება: ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა, ტაძარი ან გურუდუარა. სხადასხვა ქსელების საშუალებებით ისინი დაკავშირებულნი არიან მსგავს ადგილებთან მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში, ეროვნულ თუ საერთაშორისო სტრუქტურებთან, რაც საშუალებას იძლევა, რომ ყველა ადამიანის ინტერესები იქნეს მიტანილი ეროვნულ და საერთაშორისო ღიდერებთან, აგრეთვე ეროვნული და საერთაშორისო შეხედულებები გავრცელდეს ადგილობრივ დონეზე. ყველა რელიგიური ტრადიცია ხაზს უსვამს განათლების, ბავშვებისა და მოზარდების აღზრდისა და განვითარების მნიშვნელობას. რელიგიათა ეს სოციალური განზომილება დიდ პოტენციას იძლევა კომუნიკაციისათვის და შესაბამისად *მშვიდობის კულტურის* განვრცობისათვის.

4. რელიგიათა კულტურული განზომილება: ყოველი რელიგია კულტურას უკავშირდება და წმინდა ტექსტებისა და ტრადიციების ინტერპრეტირებით უნარყ შესწევთ წვლილი შეიტანონ მშვიდობის მხარდამჭერი ტრადიციების მშენებლობაში. ისინი გულწრფელად და შეუცნობლად აკავშირებენ ერთმანეთთან წარსული, აწმყო და მომავალი თაობების ცხოვრებას. რელიგიები გადმოსცემენ ამბებს, როლებიც ქმნიან მორწმუნეთა იდენტურობას და განსაზღვრავენ მათ ურთიერთობებს სხვებთან. რელიგიურ მონათხრობებს ძალა შესწევთ დაუდასტურონ და გამოწვევა გაუწიონ მოვლენათა ამჟამინდელ წყობას.

ბ. მშვიდობის კულტურის ელემენტები

1. *მშვიდობის კულტურა* არის საზოგადოებაში ერთად ცხოვრების წესი, რომელიც უზრუნველყოფს მისი ყოველი წევრის ღირსებას. *მშვიდობის კულტურის* პირობებში განმტკიცებულია კაცისა და ქალის თანასწორი ღირებულება, ისევე როგორც თანასწორი ღირებულება ყველა ადამიანისა მათი ეთნიკური თუ რელიგიური მიკუთვნების მიუხედავად. *მშვიდობის კულტურა* ხელს უწყობს ბუნებრივი გარემოს პასუხისმგებლიან მართვას, თაობებს შორის სამართლიანობას და ჩვენს ურთიერთობებს ავრცელებს ადგილობრივიდან გლობალურ დონეზე.

2. *მშვიდობის კულტურა* ხელს უწყობს შემწყნარებლობასა და დიალოგს. შემწყნარებლობა შეიძლება დაგვეხმაროს განსხვავებებს შორის ჰარმონიის პოვნაში და ამტკიცებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში მოცემულ სტანდარტებს. ის არ უნდა გულისხმობდეს სოციალური უსამართლობის მიღებას ან მიტოვებას ან ვისიმე რწმენის დასუსტებას. ის გულისხმობს, რომ ყველას აქვს თავისუფლება აღიაროს თავისი საკუთარი რწმენა და უნდა მიიღოს რომ სხვებსაც გააჩნიათ იგივე თავისუფლება. ნამდვილი შემწყნარებლობიდან გამომდინარეობს რელიგიის თავისუფლება. *მშვიდობის კულტურას* მიყვარებთ დიალოგისკენ და მხარს უჭერს ცოდნას, სხვების პატივისცემასა და დაფასებას, როგორც ეს მოცემულია ჩვენს მიერ მიღებულ *ბერლინის დეკლარაციაში ინტერრელიგიური დიალოგის შესახებ* (2008 წელი). ტოლერანტობა სხვისი ღირსების პატივისცემაა.

3. კონფლიქტი ყველა კულტურაში არსებობს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ნებადართული ძალადობისა და ნებისმიერი ჩაგვრის ფორმის ესკალაცია. თავად კონფლიქტური ინტერესებისა და შეხედულებების არსებობა არ წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობისათვის. ისინი წარმოადგენენ გამოწვევას განსხვავებული ინტერესების შემოქმედებითად ჰარმონიზებისათვის. *მშვიდობის კულტურის* პირობებში ყველამ უნდა ისწრაფოს კონფლიქტური ინტერესების ტრანსფორმირებისათვის, რათა მოხდეს მათი ძალისა და დინამიზმის მიმართვა შემოქმედებითი განვითარებისაკენ რომელიც ხელს უწყობს მშვიდობას და ჰარმონიას.

4. *მშვიდობის კულტურა* არის საერთო, გაზიარებული უსაფრთხოების კულტურა. *მშვიდობის კულტურა* ავითარებს ორმხრივ პატივისცემას, რომელიც საშუალებას აძლევს ყველას ღირსეულად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებაში. *მშვიდობის კულტურის* ხელის შეწყობა გულისხმობს გაზიარებული უსაფრთხოების ცნების ერთიანი ძალისხმევით აღმოჩენას, იმის აღიარებას, რომ ინდივიდებისა და ჯგუფების უსაფრთხოება და კეთილდღეობა დამოკიდებულია სხვათა იგივე

პირობებზე როგორც ეს აღიერებული იქნა მსოფლიო კონფერენცია რელიგიები მშვიდობისთვის VIII მსოფლიო ასამბლეაზე (2006წ.) და რელიგიები მშვიდობისათვის რელიგიური ლიდერების მსოფლიო სამიტზე რომელიც გაიმართა დიდი რვიანის სამიტთან დაკავშირებით (2008წ.)

მშვიდობის კულტურაზე მუშაობის ათი ვალდებულება

როგორც უმაღლესი რელიგიური ლიდერები ევროპაში, ჩვენ ვალდებულებას ვიდებთ ჩვენი ძალისხმევა მიემართოთ *მშვიდობის კულტურის* გაძლიერებისათვის:

1. ჩვენ მოვიძიებთ, ხაზს გავუსვამთ და განვაავითარებთ ჩვენს ინდივიდუალურ ტრადიციებში არსებულ იმ სულიერ რესურსებს, რომლებიც ხელს უწყობენ მშვიდობის კულტურისათვის ფუნდამენტური ღირებულებების არსებობას. ჩვენ ხელს შევუწყობთ ტექსტებისა და ტრადიციების პასუხისმგებლიან ინტერპრეტირებას, რომლებიც გამოყენებულია ან არასწორად არის გამოყენებული ადამიანებს შორის კამათისა და დაპირისპირებისათვის.
2. ჩვენ გავეძღვებით მაგალითად და ნიმუშად თუ როგორ უნდა ვეძიოთ კონფლიქტის მოგვარების გზები ჩვენსა და ჩვენი რელიგიების მიმდევრებს შორის. გამოვიყენოთ მშვიდობიანი საშუალებები და მოვახდინოთ კონფლიქტური ინტერესების ტრანსფორმირება დიალოგისა და თანამშროლობის შესაძლებლობებად.
3. ჩვენ ხელს შევუწყობთ სულიერ განვითარებას ჩვენი რელიგიური ტრადიციის მიმდევრებს შორის და განვაავითარებთ ჩვენი რელიგიების იმ მხარეს, რომელიც წაახალისებს ადამიანებს დაიკავონ მშვიდობის როლი საზოგადოებაში ისე რომ თავად იყვნენ მაგალითი ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვა რელიგიების რწმენის ან შეხედულებების პატივისცემასა.
4. ჩვენ ვუზუნველყოფთ, რომ მშვიდობის კულტურის ღირებულებები იყოს ცნობილი და დაწინაურებული ყველა ინსტიტუტებსა და ადგილებში, სადაც მიმდინარეობს რელიგიური განათლება ან ბავშვთა აღზრდა და ამგვარად ვუზრუნველყოთ ახალი თაობის აღზრდა იმგვარად, რომ ისინი მზად იყვნენ მიიღონ პლურალისტური საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი გამოწვევები, სადაც სხვადასხვა წარმომშობის ხალხები უნდა თანაცხოვრობდნენ მშვიდობიანად.
5. ჩვენ მოვიძიებთ შესაძლებლობებს, რათა ხელი შევუწყოთ პოლიტიკურ სფეროში ისეთი პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების არსებობას, რომლებიც განავითარებენ მშვიდობას და ჩვენ ერთად ავიმადლებთ ხმას იმ ძალების საწინააღმდეგოდ რომლებიც ხელს უწყობენ ძალადობას და აფერხებენ დიალოგს.

6. ჩვენ წავახალისებთ ჩვენი რელიგიური საზოგადოებების ყველა წარმომადგენელს, რომლებიც ჩართულნი არიან ქველმოქმედების პრაქტიკულ საქმიანობაში, რათა მათ გააცნობიერონ თავიანთი როლი, როგორც *მშვიდობის კულტურის* ელჩებმა. ასე რომ ჩვენ უნდა ვიპოვოთ ძალა, რათა გავაძლიეროთ და განვაავითაროთ ეს კონკრეტული მხარე – მზრუნველობა- ჩვენი რელიგიებისა.
7. ჩვენ გავაძლიერებთ რელიათშორის დიალოგს ევროპის ხალხებს შორის ყველა დონეზე, ადგილობრივი გაერთიანებებიდან ეროვნულ და საერთაშორისო ლიდერების დონეზე. ჩვენ ყველას წავახალისებთ, რომ მხედველობაში მიიღონ ინტერრელიგიური დიალოგის პრინციპები როგორც ეს აღნიშნულია ბერლინის დეკლარაციაში ინტერრელიგიური დიალოგის შესახებ (2008წ.)
8. ჩვენ შემფასებლურად დავაკვირდებით ჩვენი რელიგიური გაერთიანებების ცხოვრებასა და აქტიურობებს, რათა გავარკვიოთ როგორ და როდის იქცევიან ისინი დაბრკოლებად მშვიდობისათვის. ჩვენ ჩავერთვებით შიდა-რელიგიურ დიალოგში და როცა საჭირო იქნება შევეწინააღმდეგებით კიდევ იმათ, ვინც მართალია მიეკუთვნებიან ჩვენს რელიგიებს, მაგრამ ტრადიციების მათთვის ინტერპრეტირება არ შეეფერება მშვიდობიან თანაარსებობას.
9. ჩვენ გახსნილი ვიქნებით თანამშრომლობისათვის კეთილი ნების ყველა ადამიანთან და რელიგიურ თუ სხვა ინსტიტუტებთან. რომლებიც ხელს უწყობენ *მშვიდობის კულტურის* ძირითად ღირებულებებს.
10. ჩვენ ერთად ვაწარმოებთ ჩვენს გამორკვევებსა და ამ დეკლარაციის შინაარის გაცნობას ჩვენი კონტინენტის მასშტაბით ყველა რელიგიური ადამიანისათვის, ისევე როგორც ფართო საზოგადოებისათვის და ჩვენ გვექნება განგრძობითი ვალდებულება მისი ღირებულებებისა და იდეების მიმართ, ვაღიარებთ რა, რომ *მშვიდობის კულტურა* სრულყოფილად შეიძლება განხორციელდეს გრძელვადიანად მაშინ, როცა ახალი თაობები აღიზრდებიან და ისწავლიან ჩვენი აწმყო თაობების ნაკლოვანებებზე და იმ შესვდულებებზე, რომლებსაც რელიგიათშორისი დიალოგის წარმოებისას მოვიპოვებთ.